სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

2016-2020 წლების სტრატეგიის ფარგლებში

მიღწეული შედეგები

2020 წელს დასრულდა განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის ხუთწლიანი სტრატეგიული ციკლი. აღნიშნულ პერიოდში ცენტრის სტრატეგიული მიზნები დეკლარირებულია ცენტრის სტრატეგიულ დოკუმენტში, რომელიც ასახავს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ცენტრის ხედვას, ამ პროცესში მის დანიშნულებას, განმარტავს ცენტრის სტრატეგიული მიზნების მიღწევის გზებს[1]. წარმოდგენილ ანგარიშში მოკლედაა შეჯამებული განვლილ პერიოდში ცენტრის საქმიანობის განვითარების დინამიკა და მიღწეული შედეგები.

[1] სრულად: https://eqe.ge/res/docs/2020/NCEQE_STRATEGY_2016-2020.pdf

სტრატეგიული მიზანი 1- სახელმწიფო პოლიტიკის, მთავრობის პრიორიტეტებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარება და მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის განმტკიცება

ამ მიმართულებით გადაიდგა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები: განხორციელდა ცენტრის სტრუქტურული რეორგანიზაცია და ხარისხის სამსახურები გაიყო განათლების მიმართულებების საფეხურების მიხედვით. მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების სისტემის დანერგვის მიზნით, შეიქმნა ცალკე სტრუქტურული ერთეული. აღნიშნულ პერიოდში, შიდა ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სისტემის დანერგვის მიმართულებით ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაო. 2016 წელს ცენტრმა მოიპოვა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) აღიარება (Committed to Excellence).

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით გადაწყვეტილების მიღების ეფექტური მექანიზმის დანერგვის მიზნით, 2018 წელს შეიქმნა ცენტრის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც იმ დროისთვის ასრულებდა საკონსულტაციო ფუნქციებს. ამასთან, ცენტრის მართვის სისტემაში დაიგეგმა საკოორდინაციო საბჭოს როლის და უფლებამოსილების გაზრდა, შესაბამისი ცვლილება შევიდა ცენტრის დებულებაში. ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები და მოხდა ცვლილებების ინიცირება. გაძლიერდა ცენტრის ანგარიშვალდებულების სტრუქტურული მექანიზმი. ცენტრის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდას და საკოორდინაციო საბჭოს როლის გაძლიერებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ გაცემულ რეკომენდაციებში.

ცენტრმა გასულ წლებში შეიძინა მნიშვნელოვანი დამატებითი ფუნქციები, კერძოდ, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა, არაფორმალური განათლების აღიარება და საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა. ამ პერიოდში, ცენტრი მუდმივად ცდილობდა სერვისების განვითარებას და საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების დანერგვას. სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად შეიქმნა და ამუშავდა მოქალაქეთა განაცხადის ელექტრონული ფორმები; ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტის Twinning-ის მხარდაჭერით შეიქმნა ცენტრის მომხმარებელზე ორიენტირებული ვებგვერდი, რომელშიც ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილი სერსვისებისთვის თანხის გადახდის ელექტრონული სისტემის ინტეგრირება მოხდა.

მიზანი 2 - საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანამანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შედეგზე ორიენტირებული სისტემის განვითარებასა და ცენტრის შესაბამისი სერვისების სრულყოფა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, განახლდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG-2015). ასევე, ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები შესაბამისობაში მოვიდა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. განახლდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსები, ჩატარდა ექსპერტთა ატესტაცია, დაინერგა მათი საქმიანობის ყოველმხრივი შეფასება. შეფასების პროცესებში პირველად ჩაერთვნენ საერთაშორისო ექსპერტები, დამსაქმებლები და სტუდენტები.

შემუშავდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მოქნილი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულები არიან დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, დაიხვეწა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის მექანიზმები, ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები უფრო მეტად გამჭვირვალე გახდა, ხოლო ექსპერტების დასკვნების საჯაროობა უზრუნველყოფილია.

2018 წელს დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები. დაინერგა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, მათ შორის დუალური სწავლების მიდგომები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების განვითარების მიზნით მომზადდა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია. ასევე, დაინერგა კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მიდგომები (ე.წ. მოდულური პროგრამები), რამაც მთლიანად ჩაანაცვლა საგნობრივი პროგრამები. მნიშვნელოვანია, რომ დამტკიცდა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები.

განახლდა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ექსპერტთა კორპუსები. შემუშავდა ექსპერტთა სასერტიფიკაციო ტრენინგ-პროგრამა და 2020 წელს დაიწყო ექსპერტთა კორპუსის ატესტაცია/სერტიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სააგენტოების მსგავსად, განათლების ხარისხის გარე მექანიზმების ცვლილებები დაეფუძნება შესაბამისი მეთოდოლოგიით ჩატარებულ კვლევებს(თემატურ ანალიზებს). თემატური ანალიზების საშუალებით, ცენტრი მოახდენს რეფლექსიას ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და პროცესებზე მათი გაუმჯობესების მიზნით როგორც ინსტიტუციურ, ასევე სისტემურ დონეზე. თემატური ანალიზის მეთოდოლოგია 2020 წელს შემუშავდა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტის - „ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციების მართვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, პროექტის საერთაშორისო ექსპერტების მიერ. 2020 წელს ოთხ თემატურ ანალიზზე დაიწყო მუშაობა.

მიზანი 3 - საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარება

საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი) ცენტრი ახოციელებდა მხარდამჭერ ვიზიტებს, ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს და კონსულტაციებს, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. შემუშავდა არაერთი ტრენინგმოდული და სახელმძღვანელო. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ინსტიტუციებისთვის მომზადდა რეკომენდაციები. COVID-19 პანდემიის პერიოდში ცენტრის ვებგვერდს დაემატა ახალი კატეგორია - „მხარდაჭერა COVID-19”-ის პირობებში, რომელიც აერთიანებს სასარგებლო რესურსებს ინსტიტუციებისთვის ონლაინ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

მიზანი 4 - მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფა, არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების ოპტიმიზაცია და სრულყოფა

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის და არაფორმალური განათლების აღიარების განახლებული სისტემის დანერგვა.

დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომლებიც შესაბამისობაშია ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების საერთაშორისო კლასიფიკატორთან. ამასთან, დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარების, მონიტორინგის და კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესი. სტრატეგიის განხორციელების პერიოდში შეიქმნა დარგობრივი საბჭოები, გადაიხედა და განახლდა არსებული დარგობრივი მახასიათებელი, შეიქმნა დარგობრივი მახასიათებლები. განისაზღვრა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და კლასიფიკატორთან საგანმანათლებლო პროგრამების მოყვანის შესაბამისი ვადები და დამტკიცდა თვითშეფასების ფორმები.

მიზანი 5 - საქართველოს ცნობადობის ამაღლება ევროპის განათლების სივრცეში და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ცენტრისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპის განათლების სივრცეში მისი ცნობადობის ამაღლება და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. გასულ წლებში, ცენტრმა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) საბჭოს გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, მას ხუთი წლის ვადით მიენიჭა ENQA-ს სრული წევრის სტატუსი. ცენტრი დარეგისტრირდა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR). 2018 წელს, ცენტრმა 10 წლის ვადით მოიპოვა მსოფლიო სამედიცინო განათლების ფედერაციის (WFME) აღიარება. ცენტრი გაწევრიანდა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ქსელში (CEENQA). ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან. ცენტრის პარტნიორი სააგენტოები არიან: ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (EKKA), უკრაინის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (NAQA) და ყაზახეთის რესპუბლიკის აკრედიტაციისა და რეიტინგის დამოუკიდებელ სააგენტო (IAAR).

ხარისხის უზრუნველყოფის და კვალიფიკაციების მართვის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურთან (DAAD) და ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოსთან (EKKA) თანამშრომლობით, 2019 წლიდან ცენტრში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დაძმობილების პროექტი Twinning ხორციელდება. ცენტრი მონაწილეობს ევროკომისიისა და ERASMUS+ მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თანამშრომლობს ბოლონიის პროცესის საზედამხედველო ჯგუფთან (BFUG). 2018 წლიდან, ცენტრი წევრის სტატუსით ჩართულია ბოლონიის რეფორმების დანერგვის საკოორდინაციო ჯგუფის (BICG) სამივე თემატურ საექსპერტო ჯგუფში. ცენტრი თანათავმჯდომარეობს ხარისხის უზრუნველყოფის თემატურ საექსპერტო ჯგუფს და ჩართულია ჯგუფის მიერ განხორციელებულ პროექტებში.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი N2
ტელეფონი/ფაქსი: +995 322 200 220 (*3599) საფოსტო ინდექსი: 0193
ელ.ფოსტა: info@eqe.ge